მშრომელთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 5 ნოემბერი, 1944 წ. № 224 (7177). ფასი 20 კაპ.

საბჭოთა ინტელიგენციავ! ინჟინრებო და ტექნიკოსებო, აგრონომებო, მასწავლებლებო, ექიმებო, მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებო! საბჭოთა საწარმოებისა და დაწესებულებების მოსამსახურენო! დაეხმარეთ მუშებსა და კოლმეურნეებს ჩვენი სახალხო მეურნეობის შენებლობის აღმავლობაში, წინ წასწიეთ საბჭოთა მეცნიერება, ტექნიკა და კულტურა! გაუმარჯოს საბჭოთა ინტელიგენციას!

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავისათვის.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
საბჭოთა კავშირის მარშალ მაღინოვსკის

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა დღეს, 4 ნოემბერს, უნგრეთის ტერიტორიაზე იერიშით დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის დიდი კვანძი **სოლნოკი** — მოწინააღმდეგის თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი მდინარე **ტისაზე.**

ქალაქ **სოლნოკის** დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ **შუმილოვის,** გენერალ-ლეიტენანტ **შლემინის,** გენერალ-ლეიტენანტ **საფიულინის,** გენერალ-მაიორ **ალიოხინის,** გენერალ-მაიორ **კოლჩუკის,** გენერალ-ლეიტენანტ **რუბანიუკის,** გენერალ-მაიორ **კრეიტბრაშენსკის,** გენერალ-მაიორ **ფედოროვსკის,** გენერალ-მაიორ **ლილენკოვის,** პოლკოვნიკ **ვასილევსკის,** პოლკოვნიკ **კოვტუნ-სტანკევიჩის,** პოლკოვნიკ **დუნაევის,** გენერალ-მაიორ **კარამიშევის,** პოლკოვნიკ **ბალდინოვის,** პოლკოვნიკ **მარგელოვის** ჯარებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ **ფომინის,** არტილერიის გენერალ-მაიორ **პეტროვის,** არტილერიის გენერალ-მაიორ **ალექსეენკოს,** არტილერიის გენერალ-მაიორ **გუსაროვის,** არტილერიის გენერალ-მაიორ **ბოგბროვნიკოვის** არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ **კურკინის,** სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **ბოგდანოვის,** პოლკოვნიკ **რუმიანცევის,** პოლკოვნიკ **ბრიჟინევის** ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ **გორიუნოვისა,** ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **სტეპიჩევის,** ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **პოდგორნის,** ავიაციის გენერალ-მაიორ **კამანინის** მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **ცირლინის,** საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ **პლიასკინის,** საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ **იგნატოვის** მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **ლეონოვის,** პოლკოვნიკ **ბორისენკოს,** პოლკოვნიკ **ეგოროვის,** პოლკოვნიკ **კარპოვის** მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ **სოლნოკის** დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 4 ნოემბერს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ას ოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო سალპით სალუტს აძლევს უკრაინის მე-2 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი **სოლნოკი.**

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქ **სოლნოკის** დაკავებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

საკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 4 ნოემბერი.

თბილისი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ბაღაევაძეს

გთხოვთ გადასცეთ ჩემი მხურვალე სალამი და წითელი არმიის მადლობა საქართველოს სს რესპუბლიკის კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას, რომლებმაც შეაგროვეს 11.058.290 მანეთი საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილია „საქართველოს კომკავშირელის“ ასაგებად.

ი. სტალინი

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ლ. ა. ლეონტიევის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მრავალი წლის წარმატებითი მეცნიერული და ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობისათვის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი ლევ აბრამის-ძე **ლეონტიევი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 4 ნოემბერი.

დიპლომატიური წარმომადგენლებისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომლების დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისა და მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია დიპლომატიური წარმომადგენლებისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომლების ჯგუფი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: ა. ა. გრომიკო, ფ. ტ. გუსევი, ვ. გ. დეკანოზოვი, ს. ი. ბარანინი, ნ. ნ. ზარუბინი, ვ. ა. ზორინი, მ. ა. კოსტილევი, ა. ა. ლავრიშევი, ა. ი. ლავრენტიევი, გ. ნ. ლატაშევი, ვ. ზ. ლებედევი, მ. ა. მაქსიმოვი, ფ. ფ. მოლოჩკოვი, კ. ვ. ნოვიკოვი, ნ. ვ. ნოვიკოვი, პ. დ. ორლოვი, ა. პ. პავლოვი, ნ. გ. პალგუნოვი, ა. ა. პეტროვი, გ. მ. პუშკინი, გ. ფ. რეზანოვი, ი. ვ. სადჩიკოვი, მ. ა. სილინი, ა. ა. სმირნოვი, ა. ა. სობოლევი, კ. ა. უმანსკი, ს. კ. ცარაპკინი და სხვები, სულ 48 კაცი;

წითელი ვარსკვლავის ორდენით — ა. გ. აბრამოვი, გ. ს. ალაბვერდოვი, პ. ვ. ანურინი, ვ. მ. ბერეზკოვი, მ. ს. ვეტროვი, მ. გ. გრიბანოვი, ნ. მ. ლიფანოვი, კ. ა. მიხაილოვი, მ. ს. ხრისტოფოროვი, ი. ს. ჩერნიშევი და სხვები. სულ 39 კაცი;

„სპატიო ნიშნის“ ორდენით — 47 კაცი;

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 8 კაცი. (საკდესი).

რუმინეთის საქმეები

ბუქარესტი, 4 ნოემბერი. (საკდესი). მოკავშირეთა საკონტროლო კომისიამ რუმინეთის პრემიერ-მინისტრ გენერალ სანატესკუს გადასცა მემორანდუმი, რომელშიც აღნიშნულია, რომ რუმინეთის ორგანოები არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ დროებითი ზავის შესახებ 12 სექტემბრის შეთანხმების ზოგიერთ პირობას. მემორანდუმში აღნიშნულია, რომ რუმინეთის ორგანოები არ ასრულებენ შეთანხმების მე-2 მუხლს, რომელიც ეხება რუმინეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ გერმანიისა და უნგრეთის ქვეშევრდომთა ინტერნირებას, შეთანხმების მე-8 მუხლს, რომელიც მიმართულია იმ ქონებისა და ფასეულობათა უკონტროლოდ გასხვისების შესაძლებლობის წინასწარ აღკვეთისაკენ, რომლებიც ეკუთვნით გერმანიასა და უნგრეთს ან რუმინეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მათ მოქალაქეებს, და შეთანხმების მე-11 მუხლს რუმინეთის მიერ საბჭოთა კავშირისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ. მემორანდუმში აგრეთვე აღნიშნულია რუმინეთის ორგანოების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა ოკუპაციის პერიოდში რუმინელთა მიერ დატაცებული საბჭოთა ქონების დასაბრუნებლად სსრ კავშირში. მოკავშირეთა საკონტროლო კომისია მემორანდუმში დაჟინებით მოითხოვს რუმინეთის ორგანოების მიერ დროებითი ზავის ყველა პირობის სწრაფად და კეთილსინდისიერად შესრულებას.

მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის მემორანდუმი 4 ნოემბერს გამოქვეყნებული იყო ბუქარესტის ყველა გაზეთში.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
4 ნოემბრის ოპერაციული ცნობა

4 ნოემბრის განმავლობაში **აღმოსავლეთ პრუსიაში,** ქალაქ **გოლდაპის** ჩრდილოეთით და სამხრეთით, ჩვენმა ჯარებმა წარმატებით მოიგერიეს მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების იერიშები და მიტანილი კონტრიერიშების შედეგად გაიუმჯობესეს პოზიციები.

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა 4 ნოემბერს უნგრეთის ტერიტორიაზე იერიშით დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის დიდი კვანძი **სოლნოკი,** მოწინააღმდეგის თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი მდინარე **ტისაზე,** აგრეთვე მდინარეებს **ტისასა** და **დუნაის** შუა ბრძოლებით დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი **ცეგლედი,** ქალაქი **აბონი** და 40-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დასახლებული პუნქტები **ტერტელი, იალშოვიცკი, მუჭიკი, ლენდელფალვა, ინარჩი, ოჩა, ფელშეპაკონი.**

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

8 ნოემბერს ჩვენმა ჯარებმა დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 41 ტანკი.

* * *

აღმოსავლეთ პრუსიაში, ქალაქ გოლდაპის რაიონში, მოწინააღმდეგემ დღეს დილით გაანაბლა იერიშები. ქალაქ გოლდაპის ჩრდილოეთით გერმანელთა ტანკებმა და ქვეითმა ჯარმა ათზე მეტი იერიში მოიტანეს, მაგრამ წარმატებით არც ერთი არ დაგვირვნენებულა. საბჭოთა ნაწილებმა მტერს დიდი ზარალი მიაყენეს და აიძულეს იგი სწყის პოზიციებზე დაეხია ქალაქ გოლდაპის სამხრეთით ჩვენი ჯარები დაძაბულ ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგის დიდ ძალებთან. დილაადრიან გერმანელებმა შესძლეს ჩვენი მეწინავე ქვეგანაყოფების შევიწროება. დღის მეორე ნახევარში საბჭოთა ქვეითებმა მოწინააღმდეგეს ძლიერ დარტყეს ფლანგებიდან. ჩვენმა ჯარებმა არა მარტო უკუაგდეს გერმანელები, არამედ პოზიციებიც გაიუმჯობესეს. ამ უბანზე ორი დღის ბრძოლების განმავლობაში მოწინააღმდეგეს მძიმე ზარალი მოუვიდა ცოცხალ ძალისა და ტექნიკის მხრივ.

* * *

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარები წარმატებითს შეტევას განაგრძობდნენ. ამინდის მეტად არახელსაყრელი პირობები აძნელებენ საბჭოთა ნაწილების მოქმედებას. გაუწყვეტელმა წვიმებმა გზები გადარეცხეს და მინდვრები საფლობ ჭაობებად აქცია. მიუხედავად ყოველივე სიძნელეებისა, ჩვენი ჯარები წინ მიიწევენ. გაფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს ტისის დასავლეთ ნაპირზე მდებარე ქალაქ სოლნოკისათვის. საბჭოთა ნაწილებმა შემოვლითი მანევრი მოახდინეს და ქალაქის ქუჩებში შეიჭრნენ. გერმანელები და უნგრელები მდინარესთან მივიმწყვდიეთ და გავანადგურეთ. შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის დიდი კვანძი სოლნოკი. ჩვენმა სხვა ნაწილებმა სოლნოკ-ბუდაპეშტის გზაზე დაიკავეს ქალაქი ცეგლედი და ქალაქი აბონი. არაბრული ცნობებით, ამ რაიონში მოსპობილია მტრის ორ პოლკამდე ქვეითი ჯარი, დაზიანებულია გერმანელთა 10 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. ხელთ ვიგდეთ ბევრი ორთქლმავალი, ვაგონები და სამხედრო ქონების საწყობები. ბრძოლების ერთი დღის განმავლობაში ტყვედ წამოყვანილია 1.000-ზე მეტი გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ქალაქ პულტუსკის სამხრეთით ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა. ერთ უბანზე ჩვენმა გვარდიის ქვეგანაყოფებმა უეცრად მიიტანეს იერიში გერმანელებზე. საბჭოთა გვარდიელებმა ხელთ იგდეს ჭალა და გაიუმჯობესეს პოზიციები. ბრძოლის ველზე დათვლილია მტრის 200-მდე გვამი. წამოღებულია დავლა და წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ქალაქ უჟგოროდის ჩრდილოეთით ჩვენმა ქვეგანაყოფებმა წარმატებითი შემოვლითი მანევრი მოახდინეს მთებით და მოწინააღმდეგის თავდაცვის კვანძის ზურგში გავიდნენ. სწრაფი დარტყმით მტრის გარნიზონი განადგურებულ იქნა. 270 გერმანელმა და უნგრელმა ჯარისკაცმა და ოფიცერმა იარაღი დაჰყარა და ტყვედ დაგვნებდა. ქალაქ უჟგოროდის დასავლეთით გერმანელთა ქვეითი ჯარის ორმა ბატალიონმა საარტილერიო ცეცხლის საფარქვეშ სცადა იერიში მოეტანა ჩვენს პოზიციებზე. ჰიტლერელებმა, რომლებსაც ყველა სახის იარაღის ცეცხლით შეეხვდნენ, დიდი ზარალი ნახეს და უკან დაიხიეს.

* * *

უკრაინის მე-2 ფრონტზე წითელი არმიის მხარეზე გადმოდიან კარპატების უკრაინის მცხოვრებლები, რომლებიც ძალით იყვნენ მობილიზებული უნგრეთის არმიაში. გადმოსულმა უნგრეთის 1-ლი საკავალერიო დივიზიის მე-3 პოლკის ჯარისკაცმა პეტრო პ-მ განაცხადა: „პირველი საკავალერიო დივიზია ბრძოლებში მონაწილეობდა ვარშავის რაიონში. ოქტომბრის შუა რიცხვებში დივიზია სასწრაფოდ გადაიყვანეს უნგრეთში. მთელ გზაზე თაეს დაგვტრიალებდნენ საბჭოთა თვითმფრინავები. პრლკებს მძიმე ზარალი მოუვიდათ. წინათ უნგრელებს მეგობრობა ჰქონდათ გერმანელებთან იმ იმედით, რომ სახლში ზანდუკებიც მიიტანდნენ ნადავლს. ახლა, როდესაც გერმანიის არმია დამარცხებას განიცდის, როცა ომი უნგრეთში გადავიდა, უნგრელი ჯარისკაცები ხშირად ამბობენ: „ტყუილად დავუკავშირდით გერმანელებს“.

წითელი არმიის მხარეზე გადმოსულმა უნგრეთის 78-ე მესანგრეთა ბატალიონის ჯარისკაცმა ვასილ რ-მ განაცხადა: „17 ოქტომბერს ბუდაპეშტში ვიყავი. ქალაქში გერმანელ მცხოვრებთა დიდი რაოდენობა ითვლება. ბევრი მათგანი უნგრეთში ჩამოვიდა გერმანიიდან მოკავშირეთა ავიაციის თავდასხმათაგან თავის გადასარჩენად. გერმანელები ბუდაპეშტში თავს სრულ ბატონ-პატრონებად გრძნობდნენ. ისინი ამბობდნენ, ბუდაპეშტი გერმანული ქალაქიაო. ახლა რუსთა ჯარები ბუდაპეშტს რომ უახლოვდებიან, თავზარდაცემული გერმანელები ავსტრიასა და გერმანიაში გარბიან“.

ვიყოთ პირველ რიგებში ფრონტზე და ზურგში

ლენინ-სტალინის პარტია არას ყველა ჩვენი გამარჯვების, ყველა ჩვენი მიღწევის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი. იგი არის ჩვენი ეპოქის გონება, პატიოსნება და სინიდისი. ბოლშევიკური პარტიის მძლავრი როლი დიდებულად და სრულად გამოჩნდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ სამამულო ომის დღეებში. „...პარტია ჩვენს წინაშე წარმოსდგა, როგორც ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო ბრძოლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. პარტიის ორგანიზატორულმა მუშაობამ გააერთიანა და საერთო მიზნისაკენ წარმართა საბჭოთა ადამიანების მთელი ღონისძიებანი, მტრის განადგურების საქმეს დაუმორჩილა მთელი ჩვენი ძალები და საშუალებანი. ომის განმავლობაში პარტია კიდევ უფრო შეეისხლხორცა ხალხს, კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა მშრომელთა ფართო მასებს“. (ი. სტალინი).

მომავალი თაობანი შეისწავლიან დიდი სამამულო ომის სახელოვან მატიანეს. მასში ისინი იპოვნიან იმ უმაგალითო გმირობის მრავალ მაგალითს, რომლითაც ომიანთი საბრძოლო გზა დაამშვენეს კომუნისტებმა და ახალგაზრდა ბოლშევიკურმა ჯეჯილმა — კომკავშირელებმა, ხალხის პირველ რიგებში რომ იბრძოდნენ საბჭოთა სამშობლოს თავისუფლებისა, ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის.

შთამომავლობის თვალწინ უკანონი დიდებით იქნება გაბრწყინებული 28 პანფილოველის უმაგალითო საგმირო საქმე, რომელთაც წინ უძღოდათ უშიშარი ბოლშევიკი კლოჩკოდიევი. უკვდავების პანთეონში შევლენ გმირი კომკავშირელი ალექსანდრე მატროსოვი, რომელიც თავისი სხეულით გადაეღობა მტრის ხანგრძლივი საცეცხლე წერტილიდან წამოსულ მომაკვდინებელ ცეცხლს, რათა ამხანაგებისათვის გაეადვილებინა საბრძოლო დავალების შესრულება. ახალგაზრდა საბჭოთა პატრიოტი იური სმირნოვი, რომელიც უმაცარესი წამების დროს სამხედრო ფიცის ერთგული დარჩა და თავისი სულის სიდიადით დაამარცხა ჰიტლერელი ავაზაკები.

მშრომელთა შეგნებაში ბოლშევიკის ცნება მუდამ იყო მამაცობის, შეუდრეკელი ნებისყოფის, რკინისებური დისციპლინის, მარქსიზმ-ლენინიზმის დიად იდეათა ერთგულების, ხალხისადმი სამსახურის განსახიერება.

არალეგალობაში, მეფის რუსეთის საპყრობილეებში, ჩვენს ქვეყანაში იმპერიალისტთა ძალაუფლების დამხობისათვის და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში ბოლშევიკები უშიშრად სწირავდნენ თავიანთ სიცოცხლეს ხალხის ბედნიერებისათვის. ჩვენს ოლქებშიც, სოციალისტური სამშობლოს და ოქტომბრის რევოლუციის დიად მონაპოვართა დაცვის დროს, კომუნისტები არიან მაღალი სამხედრო და შრომითი მამაცობის, გულადობის, სამშობლოსადმი ერთგული ხამსახურის მაგალითი.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან წარმოებულმა ომმა ერთხელ კიდევ ნათლად გვიჩვენა, რომ კომუნისტები განსაკუთრებული წყობის ადამიანები, განსაკუთრებული მასალისაგან გამოკვეთილი ადამიანები არიან, რომ ისინი უდიდესი სტრატეგების ლენინისა და სტალინის არმიის თავდადებული მებრძოლები არიან.

ამან თავისი დადასტურება მზოლოდ ბრძოლის ველებზე როდი პპოვა. ზურგში—ქარხნებსა და შახტებში, საკონსტრუქტორო ბიუროებსა და ლაბორატორიებში, საკოლმეურნეო მინდვრებში — მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის ავანგარდში არიან კომუნისტები და კომკავშირელები. ისინი იქ არიან, სადაც ყველაზე უფრო მეტი სიძნელეა, სადაც უნდა გადასწყდეს უაღრესად რთული ამოცანა, სადაც საჭიროა საზრიანობისა და თაოსნობის გამოჩენა.

ვინ არ იცნობს ჩვენს ქვეყანაში დონეცელ მეშახტეს მიხეილ აფონინს, რომელმაც უკვე სამი წლიური ნორმა შეასრულა? ვისთვის არ არის ცნობილი რიაზანელ ტრაქტორისტ დარია ბარმაშის სახელოვანი საქმეები, რომლის ბრიგადამაც თავისი წლიური დავალება 500 პროცენტით შეასრულა? ურალში ჰქუხს ურალის მანქანათმშენებელი ქარხნის მეყალიბე ზეინკლის ჩუგუნოვის სახელი. მან გამოიყენა საკუთარი ხელსაწყოები, სარეკორდო გამომუშავებას იძლევა და ათ თვეში ექვსსახეკვარი ნორმა შეასრულა. მთელი ჩვენი ქვეყანა ამაყობს ტექნიკური აზრის სახელოვანი ნოვატორებით, თვითმფრინავმშენებლობისა და ტანკმშენებლობის წამყვანი კონსტრუქტორებით.

ყოველ ქარხანაში, ყოველ კოლმეურნეობაში, რაიონსა თუ ქალაქში არიან პოლიტიკური წინამძღოლები, რომლებიც მხურვალედ უყვართ მშრომელებს და ცდილობენ ყველაფერში მიჰბაძონ მათ. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) თავის რიგებში აერთიანებს საუკეთესოებს უკეთესთა შორის, საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების მოწინავე ადამიანებს.

ბოლშევიკური პარტია, ლენინ-სტალინის პარტია მონოლითური და ძლიერია მოქმედების ერთიანობით, ნებისყოფის ერთიანობით. მან დარაზმა და გამოიყვანა საბჭოთა ხალხი ჰიტლერელ დამპყრობლებთან წმიდა ომისათვის, უზრუნველჰყო ფრონტისა და ზურგის ერთიანობა. პარტიამ მოაწყო გადამწყვეტი გადამარჯვებანი მტერზე, რომელიც ჯერ კიდევ ამას წინათ იკვეხნიდა თავის უძლეველობას. წითელმა არმიამ—ამბანაგ სტალინის ბრძნული წინამძღოლობით—ჩვენი საბჭოთა სამშობლოს საზღვრებიდან განდევნა თავზედა დამპყრობლები.

ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანები ჯერ კიდევ უფრო ზრდიან კომუნისტებისა და კომკავშირელების პასუხისმგებლობას. ჩვენ თვითდამშვიდების ნასახიც კი არ შეიძლება გვქონეს. ომი შევიდა დამთავრებისა და ყველაზე ძნელ ფაზაში. ბრძოლები სწარმოებს ფაშისტი მხეცის ბუნაგში.

პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა მასებში, კომუნისტებისა და კომკავშირელების პირადი მაგალითი ბრძოლასა და შრომაში, მუდამ გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ შეტევითი გაქანების ჩანერგვის, ხალხის ძალთა მობილიზაციის საქმეში. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი თავის მოწოდებებში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავისათვის მიმართავს ყველა მშრომელთ და განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნავს კომუნისტებისა და კომკავშირელების პასუხისმგებლობას:

— კომუნისტებო და კომკავშირელებო! იყავით გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ რიგებში!

ფრონტის კომუნისტებმა და კომკავშირელებმა დაუღალავად უნდა სრულჰყონ თავიანი საბრძოლო ოსტატობა, მთლიანად გამოიყენონ საუცხოო საბრძოლო საბჭოთა ტექნიკა, იარონ სულ წინ და წინ, მუსრონ მტრის ჯარები მათს სრულ განადგურებამდე.

მრეწველობის კომუნისტებმა და კომკავშირელებმა მთელი თავიანთი ღონისძიებანი უნდა წარმართონ იმისაკენ, რომ რაც შეიძლება უკეთ გამოიყენონ შინარეზერვები, დაზოგონ ნედლეული და მასალა და მისცენ ფრონტს სულ უფრო მეტი და მეტი კარგი ტანკი, სრულყოფილი თვითმფრინავები, ჩინებული ზარბაზნები, სულ უფრო მეტი სამარი მასალა, ჩაცმულობა.

სოფლის მეურნეობის კომუნისტები და კომკავშირელები უნდა იყვნენ პურის ჩაბარების გეგმის ვადამდე შესრულებისა და წითელი არმიის ფონდში პურის ზეგეგმითი ჩაბარების სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების ორგანიზატორები, ყოველნაირად გაადიდონ მეცხოველეობის პროდუქტიულობა და დაჩქარონ მისი განვითარება, მისცენ ფრონტსა და მოსახლეობას რაც შეიძლება მეტი სურსათი, მრეწველობას—ნედლეული.

ტრანსპორტის კომუნისტები და კომკავშირელები მოწოდებული არიან მოაწყონ ჯარის ეშელონების, სამხედრო და სახალხო სამეურნეო ტვირთთა მატარებლების სწრაფი მიმოსვლა, დაჩქარებული ტემპებით აღადგინონ გერმანელთა მიერ დანგრეული გზები და ნაგებობანი.

განთავისუფლებული რაიონების კომუნისტებმა და კომკავშირელებმა ყოველი ღონისძიება უნდა იხმარონ იმისათვის, რომ უფრო მალე აღმოფხვრან გერმანელთა ოკუპაციის შედეგები, აღადგინონ სახალხო მეურნეობა და დღითიდღე აძლიერონ დახმარება თავისი განმათავისუფლებლის — წითელი არმიისადმი.

ყველა კომუნისტისა და კომკავშირელის წმიდა მოვალეობაა ფართოდ გაავრცელონ დაგროვებული საბრძოლო და შრომითი გამოცდილება, დაუღალავად ეძიონ სარდლობის საბრძოლო ბრძანებათა და სახელმწიფო გეგმების ზუსტი და სწრაფი შესრულების საუკეთესო საშუალებანი, ყველაფერში შეიტანონ მგზნებარება და ფხიზელი ანგარიშიანობა, ყველაფერში გამოიჩინონ დაუცხრომელი ნებისყოფა და ენერგია, მთელი თავიანთი ძალები მოახმარონ ფრონტისადმი დახმარების საქმეს.

ფრონტი მხოლოდ შეიარაღებას, საჭურველსა და სურსათს როდი მოითხოვს. მას უსაჭიროება ადამიანებით შევსებაც. სამხედრო საქმის შეუპოვრად დაუფლება, სამხედრო სპეციალობათა გულმოდგინედ შესწავლა კომუნისტებისა და კომკავშირელების უპირველესი მოვალეობაა.

ჰიტლერელ ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ომის კეთილშობილურმა და მაღალმა მიზანმა უმაგალითო პატრიოტული აღფრთოვანება გამოიწვია ჩვენი ქვეყნის მშრომელთა შორის. კომუნისტები და კომკავშირელები მოწოდებული არიან ყოველდღიური პოლიტიკური განათლებით, მარქსისტულ-ლენინურ იდეათა პროპაგანდით, ორგანიზატორული მუშაობით დაუღალავად აძლიერონ პარტიისა და კომკავშირის კავშირი მასებთან, იბრძოლონ საბჭოთა კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით—წინ, ჰიტლერული გერმანიის საბოლოო განადგურებისათვის, ჩვენი სამართლიანი საქმის სრული გამარჯვებისათვის!

„პრავდის“ 4 ნოემბრის მოწინავე

ფულისა და ნივთების მეოთხე ლატარიის გავრცელების წინასწარი შედეგები

25 ოქტომბერს გამოშვებული ფულისა და ნივთების მეოთხე ლატარია 2 ნოემბრისათვის გავრცელებულია 5.153 მილიონი მანეთის რაოდენობით —დაწესებულ თანხაზე 153 მილიონი მანეთით მეტი. მუშა-მოსამსახურეთა ხელმოწერამ შეადგინა 2.039 მილიონი მანეთი, კოლმეურნეებმა შეიძინეს 3.114 მილიონი მანეთის ლატარიის ბილეთები.

3 ნოემბრისათვის კოლმეურნეებს ნაღდ ფულად შეტანილი ჰქონდათ 1.647 მილიონი მანეთი. ბევრ რესპუბლიკასა და ოლქში მათ მთლიანად გადაიხადეს ხელმოწერის თანხა. ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში ნაღდ ფულად შეტანილია კოლმეურნეთა ხელმოწერის თანხის 99,5 პროცენტი, ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში—96,2 პროცენტი, საქართველოს სს რესპუბლიკაში—93,6 პროცენტი, თურქმენეთის სს რესპუბლიკაში—92,2 პროცენტი.

ლატარიის ბილეთების გავრცელება ქალაქში და სოფლად გრძელდება.

(საკდესი).

საბჭოთა კავშირ-შვეიცარიის ურთიერთობისათვის

10 ოქტომბერს შვეიცარიის დესპანმა ლონდონში ბ-ნმა პოლ რიუგერმა გაუგზავნა საბჭოთა კავშირის ელჩს დიდ ბრიტანეთში შვეიცარიის მთავრობის სამახსოვრო ბარათი სსრ კავშირის მთავრობისადმი მიმართვით შვეიცარიასა და სსრ კავშირს შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შესახებ. ამ სამახსოვრო ბარათში შვეიცარიის მთავრობა, მიუთითებს რა შვეიცარიის ძველ დემოკრატიულ ტრადიციებზე, აცხადებს, რომ იგი მზად არის გულახდილად განიხილოს წარსული პრობლემები და გამოსთქვამს სურვილს აღადგინოს საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობა.

1 ნოემბერს შვეიცარიის დესპანს ლონდონში გადაეცა სსრ კავშირის მთავრობის პასუხი შვეიცარიის მთავრობის მომართვაზე. საბჭოთა მთავრობის პასუხში ნათქვამია, რომ მან განიხილა შვეიცარიის მთავრობის წინადადებანი შვეიცარიასა და საბჭოთა კავშირს შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შესახებ, რომლებიც მოცემულია შვეიცარიის მთავრობის სამახსოვრო ბარათში. აღნიშნული სამახსოვრო ბარათი, მიუთითებს რა შვეიცარიის ძველ დემოკრატიულ ტრადიციებზე და შვეიცარიის ფედერალური საბჭოს მზადყოფნაზე გულახდილად განიხილოს წარსული პრობლემები, დუმილით უვლის გვერდს, იმ პოლიტიკური ხაზის საკითხს, რომელსაც მთელი ამ წლების მანძილზე შვეიცარიის მთავრობა ადგა საბჭოთა კავშირის მიმართ. სხვათა შორის, საყოველთაოდ ცნობილია ის ფაქტი, რომ მრავალი წლის განმავლობაში შვეიცარიის მთავრობა, თავისი ძველი დემოკრატიული ტრადიციების საწინააღმდეგოდ, ატარებს მტრულ პროფაშისტურ პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ, რომელიც სხვა დემოკრატიულ ქვეყნებთან ერთად თანმიმდევრად ეწევა ბრძოლას ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ მშვიდობისმოყვარე ხალხების ინტერესებისათვის.

ამის გამო საბჭოთა მთავრობამ უარი განაცხადა მიეღო შვეიცარიის მთავრობის წინადადება შვეიცარიასთან დიპლომატიური და სხვა ურთიერთობის აღდგენის შესახებ, რამდენადაც შვეიცარიის მთავრობა დღემდე არავითარი ფორმით არ გაემიჯნა საბჭოთა კავშირისადმი თავის წინანდელ მტრულ პოლიტიკას.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საინფორმაციო ბიურო.

ახალი ელექტროგადამცემი ხაზები საქართველოში

მოსკოვი, 4 ნოემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის ელექტროსადგურების სახალხო კომისარიატმა და ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატმა დაამტკიცეს საქართველოს მოქმედი და ახლად აგებული ქვანახშირის შახტების ელექტროენერგიით უზრუნველყოფის გეგმა. უახლოეს დროში აგებული იქნება 200 კილომეტრამდე საერთო სიგრძის ხუთი ახალი ელექტროგადამცემი ხაზი. ისინი მნიშვნელოვნად გააძლიერებენ ტყვარჩელისა და ტყიბულის ქვანახშირის საბადოების

პარტიული ცხოვრება

მაღაროს პარტიული ორგანიზაცია მეტი მარგანეცისათვის ბრძოლაში

(ჭიათურა, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს მარგანეცის გამოღების მესამე კვარტალის დავალება 92,3 პროცენტით შესრულა. მუშაობის ამგვარად გაგრძელება არ შეიძლებოდა. საჭირო იყო გადამჭრელი ზომების მიღება, რათა გადიდებულიყო მარგანეცის გამოღება. ამ საქმეს პარტიულმა ორგანიზაციამ მოჰკიდა ხელი. ოქტომბრის პირველ რიცხვებში პარტიულმა კრებამ განიხილა მარგანეცის გამოღების გადიდების საკითხი. მოხსენებით გამოვიდნენ მაღაროს დირექტორი დ. ერგემლიძე და ეკონომისტი შ. ბარათაშვილი, რომლებმაც ჩამორჩენის მიზეზების ღრმა ანალიზი მისცეს კრებას. კომუნისტებმა: ა. მოდებაძემ, მ. კენჭოშვილმა, უ. ხუჯაძემ და ბ. ოტიაშვილმა ბევრი კარგი წინადადება წამოაყენეს. კრებამ დასახა ღონისძიებანი. კომუნისტებმა მაღაროს მთელ კოლექტივთან ერთად პრაქტიკულად დაიწყეს ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის ბრძოლა და მიაღწიეს მარგანეცის გამოღების ზრდას.

სწორედ კომუნისტები გახდნენ საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების თაოსნები. მათ არა მარტო თითონ იწყეს უკეთ მუშაობა, უპარტიო ამხანაგებიც გაიყოლეს. კომუნისტი ამწყვნდები ამხ. პ. მიროტაძე და ა. გაფრინდაშვილი არა მარტო ამ მაღაროში, მთელ ჭიათურაში არიან განთქმული. მათ წლიური გეგმის გადამეტებით ათასობით ტონა მარგანეცი მისცეს ქვეყანას. პარტიაში ახლადმიღებული ახალგაზრდები ამხ. ტერენტი და ივანე მიროტაძეები თავდადებული მუშაობის საუცხოო ნიმუშებს იძლევიან. ასევე წარმატებით მუშაობს ახალგაზრდა კომუნისტი ამხ. რ. გურული. იგი ცვლაში გეგმის გადამეტებით 10-15 ტონა მარგანეცს იძლევა. ფრონტული თავდადებით მუშაობენ კომუნისტები მბურღავი გ. ჭიღლაძე, მებიგე კ. გურაბანიძე, გამგორებელი ბ. აბრამიშვილი. ეს ამხანაგები თავისი საქმის ოსტატები არიან. შემთხვევითი როდია, რომ პროფესიათა მიხედვით მოწყობილ სოციალისტურ შეჯიბრებაში კომუნისტები მოწინავენი არიან. საუკეთესო ამწყვნდის სახელწოდებას კომუნისტი ჰ. მიროტაძე ატარებს, საუკეთესო მებიგისას — კომუნისტი კ. გურაბანიძე, საუკეთესო გამგორებლისას — კომუნისტი ი. მიროტაძე, საუკეთესო მბურღავისას — კომუნისტი გ. ჭიღლაძე.

სანგრევების კარგად მოწყობით, სამუშაო ადგილის დროულად მომზადებით, გზებისა და განათების მოწესრიგებით, მუშებისადმი გულისხმიერებით გამოირჩევა უბანი, რომელსაც კომუნისტი ტექნიკოსი მ. კენჭოშვილი განაგებს. ეს უბანი ამჟამად ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით იძლევა მარგანეცს. ახალახალ წარმატებებს აღწევს პეროქსიდების ქარხანა, რომელსაც კომუნისტი ინჟინერი ალ. მოდებაძე ხელმძღვანელობს. ქარხანაში არა ერთი ტექნიკური ღონისძიება განხორციელდა, რითაც გაიზარდა წარმადობა, ამაღლდა პეროქსიდების ხარისხი. ქარხნის კოლექტივი მომჭირნეობით ხარჯავს ელექტროენერგიასაც. მან მიმდინარე წელს 200,000 კილოვატსაათი ენერგია დაზოგა.

ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა-მაღაროს კოლექტივის ერთსულოვანმა მუშაობამ საუკეთესო ნაყოფი გამოიღო. მარგანეცის გამოღებისა და სასაქონლო პროდუქციის დამზადების ოქტომბრის დავალება ხუთი დღით ადრე შესრულდა. გადაჭარბებით შესრულდა ათი თვის დავალებაც. ამ წარმატების ორგანიზატორები კომუნისტები არიან.

მაღაროს კოლექტივისა და მაშასადამე, პარტიული ორგანიზაციის მუშაობის ნაკლად რჩება ის, რომ აქ ჯერ კიდევ სუსტად იბრძვიან პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის. პროდუქციის თვითღირებულება კი, როგორც ცნობილია, წარმოების მუშაობის ძირითადი მაჩვენებელია. მართალია, პარტიულმა ორგანიზაციამ არაერთხელ იმსჯელა თვითღირებულების შემცირებისაკითხზე, ისიც მართალია, რომ კარგი დადგენილება მიიღეს, მაგრამ პროდუქციის თვითღირებულება კვლავ მაღალი რჩება.

მაღაროს პარტიული ორგანიზაციის, მთელი კოლექტივის საბრძოლო ამოცანაა გეგმა სრულდებოდეს ყველა მაჩვენებლის მიხედვით. საჭიროა სრულდებოდეს არა მარტო მარგანეცის გამოღების და სასაქონლო პროდუქციის დამზადების გეგმები, არამედ შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმაც, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმაც. მაღაროს პარტიულმა ორგანიზაციამ, მთელ კოლექტივთან ერთად, ეს ამოცანაც წარმატებით უნდა გადაწყვიტოს.

პ. ჭიოკაძე

კომუნისტთა ინიციატივა

საკავშირო პარტიული კომიტეტის ამოცანა რკინიგზის ტრანსპორტზე იმაში მდგომარეობს, რომ სისტემატური ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიოს პირველად პარტიულ ორგანიზაციებს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებისა და საწარმოო დავალებების დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულების საქმეში.

ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის საკავშირო პარტიულ კომიტეტს (მდივანი ამხ. შ. გურეშიძე) სწორედ ასე ესმის თავისი მოვალეობა. ამიტომაც კვანძის მუშაობა შორის კარგად არის დაყენებული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, ფართოდაა გამოყენებული აგიტაციის ყველა ფორმა, მათ შორის თვალსაჩინო აგიტაციაც. ლოზუნგები, პლაკატები და სურათები მუშათა საწარმოო საქმიანობას ასახავენ.

პარტიული კომიტეტის ინიციატივით ზაფხულში ხაშურის რკინიგზის კვანძის კომუნისტებმა ითავეს ნადავლი ვაგონების შეკეთება და სამ თვეში სამუშაოსაგან თავისუფალ დროს ორასზე მეტი ვაგონი შეაკეთეს. ხაშურელმა მეორთქლმავლე კომუნისტებმა პირველებმა განაცხადეს უარი საკომპლექსო ბრიგადების დახმარებაზე და საკუთარი ძალებით იწყეს ორთქლმავლების შეკეთება. ამით განთავისუფლებულ იქნა მრავალი მუშა, რომლებიც სხვა სამუშაოზე გადაიყვანეს, ხოლო 7 ზეინკალი ორი თვით ბაქოს საორთქლმავლო დეპოს დაახმარეს.

საკავშირო პარტიული კომიტეტის ინიციატივით ხაშურის რკინიგზის რაიონების რკინიგზებისათვის სხვადასხვა ხელსაწყო-იარაღების დასამზადებლად. ხაშურელებმა განთავისუფლებული რაიონების რკინიგზებს გაუგზავნეს 3,989 ცალი სხვადასხვა ხელსაწყო და იარაღი.

ხაშურელი პატრიოტები მეზობელ საწარმოებსაც ეხმარებიან. მაგალითად, კავშირგაბმულობის იმ დისტანციამ, სადაც პარტიუროს მდივანია ამხ. ლ. მეგრელიშვილი, მეზობელ დისტანციას უსასყიდლოდ დაუშვადა 168 სატელეგრაფო ბოძი. მე-5 ხოლიანდაგო დისტანციის (პარტბიუროს მდივანი ამხ. პ. ჭიპაშვილი) მოწინავე ადამიანებმა ომის დღეებში სამუშაოსაგან თავისუფალ დროს დაამზადეს 12,000 ცალი შპალი.

საორთქლმავლო დეპოს კომუნისტებმა — ლენინელმა ხარატმა ამხ. შ. თომაძემ და ზეინკალმა ამხ. ი. იშხნელმა აღადგინეს დაზიანებული სახარატო დაზგა, რამაც საგრძნობლად დააჩქარა პროდუქციის გამოშვება. კომუნისტების ამხ. თ. ნოზაძის, ი. ჩიტაძისა და გ. გიორგაძის თავდადებული მუშაობით თავის დროზე და მაღალხარისხოვნად იქნა შეკეთებული დეპოს ორთქლგამტარი მილები და ორთქლის ქვაბი. ამით მათ ხელი შეუწყეს ზამთრის პირობებში დეპოს შეუფერხებლად მუშაობას.

საავგონო უბნის კომუნისტებმა — ბრიგადირმა ამხ. გ. აბიაშვილმა და საკუმულატორო საამქროს უფროსმა ამხ. კონსტანტინოვმა ორი დღის განმავლობაში დაუსვენებლად იმუშავეს ჭანჭიკების საჭირელი დაზგის შესაკეთებლად. ლენინელმა მეკედელმა, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრმა ამხ. ბ. კალმახელიძემ პირნათლად შეასრულა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი: 19 ოქტომბერს სამ ქურაზე იმუშავა და ნორმით გათვალისწინებული 18 ცალის ნაცვლად 550 ცალი დეტალი გამოსწედა. ამხ. კალმახელიძემ აღმოსავლეთ პრუსიაში წოთელი არმიის შეჭრის დღეს 563 ნაწილი დაამზადა, დღიური დავალება 3,100 პროცენტით შეასრულა და გამოიმუშავა 650 მანეთი. ამ თანხით მან ფულისა და ნივთების მე-4 ლატარიის ბილეთები შეიძინა.

ხაშურის საკავშირო პარტიული კომიტეტი სისტემატურად იხილავს მასობრივ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის საკითხებს, სახავს პრაქტიკულ ღონისძიებებს და იბრძვის მათს შესასრულებლად. ერთერთ კრებაზე განიხილეს ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის № 752-ც ბრძანების შესრულების მიმდინარეობა. ამის შემდეგ კომუნისტებმა ბეჯითად მოჰკიდეს საქმეს ხელი და სადგურის მუშაკება დარაზმეს მატარებლების მოძრაობის გრაფიკის ზუსტად დაცვისა და ვაგონსაათების მომჭირნეობისათვის. ახლა ხაშურის სადგურს ამიერკავკასიის რკინიგზაზე მეორე ადგილი უკავია.

ხაშურის რკინიგზელები წარმატებით მოემზადნენ ზამთრისათვის, ახალი მიღწევებით ხვდებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვან XXVII წლისთავს.

ტ. ციბაძე
შ. ჭოჭუა

საქართველოს კ. პ. (ბ) ზემოსვანეთის რაიონული კონფერენცია

ამ დღეებში ჩატარდა საქართველოს კ. პ. (ბ) ზემოსვანეთის რაიონული კონფერენცია. რაიკომის განვლილი მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ზემოსვანეთის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. ვეკუამ. მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღო 17 კაცმა. კონფერენციამ რაიკომის მუშაობა შეაფასა დამაკმაყოფილებლად.

შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) ზემოსვანეთის რაიკომის პირველი პლენუმი. პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ვ. ვეკუა, მეორე მდივნად—ამხ. ს. ჩხეტიანი, ხოლო მდივნად კადრების დარგში—ამხ. ს. ჭკადუა.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. გ. თალაქვილაძე.

გ. ქოგალია

ციგრუსების ნაყოფის შერჩევითი კრეფა

ქობულეთი („კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან). რაიონში მოწყობილია ციტრუსების 5 პავილიონი. ციტრუსების მიღებას ყოველმხრივ მზად შეხვდა ქობულეთის პავილიონი (დირექტორი ვ. იმნაძე). მან 2 ნოემბრისათვის დაამზადა 46 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი. ასევე მომზადებული შეხვდნენ ციტრუსების მიღებას ჩაქვისა და დაგვის შემფუთავი პავილიონები; პირველმა ჩაიბარა 33 ტონა, ხოლო მეორემ — 15 ტონა ციტრუსი.

სოფელ ხუცუბნის პავილიონმა მუშაობა დაიწყო, მაგრამ მას ხელი ეშლება ტარა-მასალის საკმაო რაოდენობით უქონლობის გამო.

სოფელ დაგვის ვორონცოვის სახელობის კოლმეურნეობაში რამდენიმე დღეა დაიწყო მანდარინის კრეფა. კოლმეურნეობა სახელმწიფოს ჩაბარებს 6 მილიონ მანდარინს, 40 ათას ლიმონს, 50,000 ფორთოხალს. ელიტა-ნოვკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში ორგანიზებულად შეუდგნენ ციტოუსების შერჩევითს კრეფას. კალინინელები ჩაბარებენ ერთ მილიონ 600 ათას ცალ მანდარინს, ასევე უხვ მოსავალს იღებენ სოფელ აწყვის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“. ციტრუსების კრეფა საკარმიდამო ნაკვეთებშიც დაიწყო. წელს საკარმიდამო ნაკვეთებიდან კოლმეურნეები სახელმწიფოს ჩაბარებენ 106 ტონა ცალზე მეტ ციტრუსოვანთა ნაყოფს.

მალე დაიწყება ციტრუსების მასობრივი კრეფა და ჩაბარება. საჭიროა ზუსტად დაიცვათ კრეფის წესები, დროზე მოვაწყოთ გადაზიდვა.

საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წელს ქვეყანას მისცენ გეგმის გადაჭარბებით 10 მილიონ ცალზე მეტი მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი.



ქალაქ კლაიპედის (მემელის) სამხრეთ-აღმოსავლეთით. საბჭოთა ქვეითი ჯარი უტევს.
ფოტო ლ. ველიკანინისა. (საკადესის ფოტოქრონიკა).

ბუდაპეშტის მიმართულებით

ბოქვადი არმია, 3 ნოემბერი. (საკადესის სპეც. კორ.). ტისის ნაპირი გამაგრებული იყო მოწინააღმდეგის მიერ დიდძალი არტილერიითა და ტანკებით. როდესაც კაპიტან ვინოგრადოვისა და მაიორ ვილდიუკოვის ბატალიონები ნავებით ტისაში გავიდნენ, მტერი მათ წარმოუდგენელი ძლიერი ცეცხლით შეეხვდა. ჩვენი ქვეითები ერთ დღე-ღამეზე მეტი ხნის განმავლობაში ებრძოდნენ მოწინააღმდეგის ჭარბ ძალებს. მტერმა ვერ შესძლო მდინარეში ჩაეყარა მამაცნი. საშველად მოსული არტილერია დაეხმარა ქვეითებს არა მარტო იმაში, რომ გამაგრებულიყვნენ ტისას გაღმა, არამედ პლაცდარმიც კი გაეფართოებინათ მტრის ნაპირზე.

პირველი ბატალიონების შემდეგ ტისაში გავიდნენ ტანკები, არტილერია. პლაცდარმი გაფართოდა. დაკავებულმა ტერიტორიამ მანევრირებისა და მტრის თავდაცვისათვის გაძლიერებული დარტყმის საშუალება მოგვცა.

გერმანელებსა და უნგრელებს წინანდებურად გამოჰყავდათ ბრძოლაში ქვეითი ჯარები, თვითმავალი ზარბაზნები და ტანკები. აქ გამოჩნდნენ „სამეფო ვეფხვის“ ტიპის ახალი ტანკები. ნ გვარდიის ნაწილის არტილერისტებმა ერთ ბრძოლაში ერთბაშად დააზიანეს 8 ეს შეჯავშნული სახლი — „სამეფო ვეფხვები“.

ნ გვარდიის შენაერთის ქვეითები და არტილერისტები, რომლებიც წინ მიიწევდნენ და აფართოებდნენ პლაცდარმს ტისას გაღმა, თავიანთი შეტევის მესამე დღეს მიადგნენ ქალაქ ნადკერეშს — გერმანელთა წინააღმდეგობის ერთერთ კვანძს მდინარე ტისასა და დუნაის შუა.

საბჭოთა მეომრებს წინად ხვდათ ძნელი ამოცანა — დაეკავებინათ გზების დიდი კვანძები და რკინიგზის სადგურები, როგორიცაა კიშკუნხალაში, კიშკუნფელდხაზა, კიშკერეში, კეჩკემეტი და სხვები. ამ პუნქტებისათვის ბრძოლა მეტად ძნელი იყო. ვაკე ადგილი, მეჩხერი და პატარა ტყეები საშუალებას არ გვაძლევდნენ თავი მოგვეყარა ტანკების, მანქანებისა და ქვეითი ჯარის დიდი მასებისათვის. მოწინააღმდეგე უშენდა ამ პუნქტების ყველა მისადგომს. საკმაო იყო ვაკეზე ერთი საბჭოთა ტანკის გამოჩენა, რომ მის სხვადასხვა მიმართულებიდან ხროლას ეტეხდა მტრის ათობით ზარბაზანი. ეკლესიების სამრეკლოები, თიკის ზვინები, ხუტორების სახურავები, — ყოველივე ეს გერმანელებმა გამოიყენეს, როგორც საუცხოო სათვალთვალო პუნქტები ვაკეში.

ჩვენს ოფიცრებს მოუხდათ გამოეყენებინათ მოქნილი მანევრის, ობიექტებთან ფარულად მისვლის, ერთბაშად რამდენიმე მიმართულებიდან უეცარი იერიშის მიტანის ტაქტიკა. მაგალითად, ერთ ტბასთან ჩვენი ნაწილი სამი მხრით შემოერტყა უნგრელთა პოლკს, ღამის იერიშით გაანადგურა იგი და ტყვედ წამოიყვანა 300-ზე მეტი უნგრელი. სხვა ნაწილმა ასევეთვე უეცარი კომბინირებული დარტყმით გაანადგურა უნგრელთა 23 ქვეითი დივიზიის 2 პოლკი. ამ დივიზიის მეთაური თავის შტაბიანად გარემოცვაში მოხვდა და მოკლულ იქნა. მისი მოადგილე და შტაბის ოფიცერთა ჯგუფი კი ტყვედ წამოვიყვანეთ. ტყვედ დაგნებდა ამ დივიზიის 600-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ჩვენი ჯარების შეტევის გზები მჭევრმეტყველურად მოწმობენ მტრის შეუპოვრობას, საბჭოთა მეომრების ოსტატობასა და მამაცობას. კიურტეშ ენდრეიმრეს გრეიდერი სულ კილომეტრნახევარზე გრძელდება. გერმანელებმა და უნგრელებმა აქ თავი მოუყარეს სხვადასხვა ყალიბის 20-ზე მეტ ქვემეხს. ყველა კიურტეშ ენდრეიანი დ. მოკლე, გასქელებულლულიანი ზარბაზანი და ჰაუბიცი იქვე დარჩა — ისინი ჩვენმა ყუმბარიმტყორცნელებმა. იქვეა გერმანელ არტილერისტთა გვამები, ყუმბარებიანი ყუთების შტაბელები, დამტვრეული საწვრები, ქვემეხთა წინალები.

აი მტრის სიმაგრეები კეკესმეტის სამხრეთ გარეუბანში. სახლები გადაქცეულია ხანგრძივ საცეცხლე წერტილად. ქუჩებშია ბოძკინტები და სანგრები, გზაჯვარედინებზე — ზარბაზნები და ტყვიამფრქვევები. აქედან მოჰქონდა მოწინააღმდეგეს კონტრიერიშები. აქ ყარია ლითონის გროვები — დამწვარი, დამტვრეული ტანკები, ზარბაზნები, მანქანები. სასახლოდ იმუშავეს აქ საბჭოთა ტანკისტებმა, რომლებიც ქალაქისაკენ ცეცხლის ფარდაში გაიჭრნენ და მიბრჯნით ანადგურებდნენ მტრის თავდაცვას, სანამ ქვეითი ჯარი მანქანებით არ მივიდა ქალაქთან სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრით და ზურგიდან არ დაარტყა მტრის თავდაცვას. ველში მდებარე პატარა ქალაქის ახლოს მთელი მიწა ვადათხრილია, ხეები დანაფოტებულია, სანგრებში ყუმბარებისაგან გათხრილი ორმოები და გერმანელთა გვამებია. 300-ზე მეტი გვამი მხოლოდ მინდორში, სანგრებთან ჰყრია. გარდა ამისა, ნ ნაწილმა აქ ტყვედ წამოიყვანა 200 კაცი.

ბუნების დიდწინაღმდეგმა რამდენიმე გაადგურებელი ინტენსივობა ბრძოლა. ეს ბრძოლა ... ...